წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ. შაბათი, 14 იანვარი, 1917 წ. № 11

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით [illegible] უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს უველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველდღიურ საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ

„საქართველო“-ზე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთის ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთი თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ◆ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ◆ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. სალ. 5—7-დე.

რედაქტორი: **სანდრო შანშიაშვილი.** გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

ირაკლი ესტატეს ძე ფურცელაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 იანვარს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მის გარდაცვალებულის მეუღლის

მელანია (ელენე) ივანეს ასულის

ფურცელაძის

სულის მოსახსენებლათ.

(1—475—1)

დღეს, იანვრის 14-ს, შუადღის 12 საათზე, ნაძალადევის ეკლესიაში, და ამავე დღეს ს. დგვრისის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ნახევარის წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის სტუდენტის

თავ. გრიგოლ ზურაბის ძის

ზერზეულიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები: თავ. ზურაბ დიმიტრის ძე, კნ. ოლღა დარისპანის ასული, ძმა მიხეილი, და სონა, რძალი დარიკო, დიდედა მარიამი და დეიდა ანა ელიოზიძისა.

(1—476—1)

და და სიძე ელენე დავითის ასული და ნოე ბესარიონის ძე კუკულაძენი, მამა დავით მიხეილის ძე, ძმა ესტატე, რძალი მარიამი ჯაჯანაშვილები და დეიდა კატუშა რუსიევისა. ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 იანვარს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი 11 ს.

მარიამ დავითის ასულის

ჯაჯანაშვილის

სულის მოსახსენებლად.

(1—499—1)

დედა—მაკრინე; დები: ნინო, მართა, ევგენია და ალექსანდრა; ძმები: ნიკოლოზ და შალვა; სიძენი ზაქარია ბიჭაშვილი და კონსტანტინე კასრაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, იანვრის 15, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე (ვივა) გიორგის ასულის

ჩაგუნავას

სულის მოსახსენებლად.

(1—477—1)

ამიერ-კავკასიის
მომხმარებელ საზოგადოებათა
კავშირის კონტორა

14 იანვრიდან გადადის ახალ შენობაში,
კრილოვის ქუჩაზე,
(რომელიც მიხეილის პროსპექტიდან შეუხვევს მტკვრისაკენ)
სახლი ბერკოვიჩისა, № 10.

(3—517—2)

14 იანვარს ნინოობას
ახალ კლუბის დარბაზში გაიმართება
ტრადიციული საღამო ქართ. ქალთა საზოგადოებისა

შემდეგის პროგრამით:

I. **სამშობლო** მეორე მოქმედება.

II. **რუსთველი** მეორე მოქმედება.

III. **პატარა კახი** მეორე მოქმედება.

IV. **აპოთეოზი** ქეთევან დედოფლის წამება.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დავითაშვილი, ქიქოძე, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი; ბ-ნი იშხნელი, გვ[illegible]აძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება დილით „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, საღამოთი „ძმურ ნუგეშში“.

(4—512—4)

თბილისის ქართულ

ფილარმონიულ საზოგადოების
სამუსიკო სკოლა

მოწაფენი მიიღებიან 4 იანვრიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10-დან—2-მდე და საღამოს 5—7-მდე. სწავლა დაიწყება 7 იანვრიდან.

— მისამართი: სლეპცოვის ქუჩა, № 4. —

(5—353—2)

მიწის მზომელი
კლიმიაშვილი

შეუდგება გაყოფას 18 იანვარს 1917 წელს აგარაკი ალაზნის გაღმა-მხარის თავად ვაჩნაძეების და აბხაზების მამულის მთის ნაწილისას, ამიტომ სთხოვს მემამულეთ მობრძანდნენ აღნიშნულ რიცხვში დილის ცხრა საათზედ სოფ. ბაკურციხეში მიწის მზომლის ბინაზედ თავ. გიორგი სვიმონის ძე ვაჩნაძის სახლში.

(2—474—2)

ხაროფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

შაბათს, 14 იანვარს,

სიმებიანი ორკესტრი

ბ-ნ სენკევიჩის ლოტბარობით

სტუმრები საზოგადო წესით. ◆ დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

(1—518—1)

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ნინოობას

დღეს ქართველთა საეკლესიო დღეობაა... მაგრამ სარწმუნოებრივი სული კაი ხანია გაგვქრობია—ხსენება მოციქულთა-სწორ ქალწულისა ეროვნულ დღეობის საბაბად გარდაგვიქცევია და ვილხენთ... ყველას გული გაჰგრილებია, არც უბრალოსა და არც განათლებულს, გარდა მუცლის მრწამსისა, არა სწამს რა. ბედკრულმა უნუგეშინო დრომ ყველანი ურწმუნოების სამოსელში გაგვხვია... ახლა მხოლოდ იმ ღმერთებს ლოცულობენ, ფულის ქაღალდზედ რომ არიან დახატულნი...

ადრინდელ საქართველოს სხვა ღმერთები სწამდა... უღვთონი ქალდუ-სუმერის ქართველებიც კი არა ყოფილან: სუმერთა ყოველ ქალაქს მისი ბატონი ღმერთი ჰყავდა—რომელსაც „ნინ“-ს ეძახდნენ, ან და „ნინა“-ს... მათი მამა-ღმერთი კი—მთის ღმერთი იყო... სუმერიელთ სწამდათ, რომ ისინი ამ მთიელ ღმერთის მოყვანილნი იყვნენ „რძითა და თაფლით მომდინარე“ სენაარში. . მთიელი იყო კავკასის მზისა და ცის ქვეშ მოსულ ქართველთა ღმერთიც—არმაზი, მცხეთის საყდარში კერპი რომ ედგა... „ქართლის ცხოვრება“ ამბობს: იყო „კაცი სპილენძისა, რომელსა ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსი და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროსი; სამხრენი და თვალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბივრისტისანი; და ეპყრა ხრმალი ხელსა მისსა ელვარე და ბრწყინვალე, რომელი იქცეოდა ხელსა შინა მისსა, და შიშისა მისისა მიმთხვევისა და სიკვდილისა მის მიერითა არავინ განუკრძალველად შეემთხვეოდეს კერპსა მას, არამედ ...განკითხვითა თავთა თვისათა შიშით და ძრწოლით თაყვანსა სციან მასო“..

თექვსმეტი საუკუნის წინ, ექვსაგვისტოს, არმაზის დღეობას მოევლინა ლამაზი-ქალი ნინო... სუსტმა, მწუხარე მოციქულმა ცრემლით შესტირა თავის ღმერთს კერპის დათრუნგვისათვის... და აი, ამბობს „ქართლის ცხოვრება“ — „აღდგეს დასავლითა ქარნი და ჰაერნი ღრუბელთა თანა ხილვითა საშინელისა და ხმითა ზარისა ქუხილისათა და მოჰბერა ნიავმან მზისან დასავლისამან სული ჯირკვალი სიმწარისა, სიმყრალისა, რომელი ესე იხილა სიმრავლემან ერისამან მათ ზედა მომავლად; მაშინ იწყეს მსწრაფლ სირბილად შელტოლვად ქალაქთა და სოფელთა თვისთა და... განიბნივნეს ყოველნი... მოიწია რისხვისა ღრუბელი მწარედ სასტიკი და მოიღო სეტყვა სწორი ქვისა, ორთა მიერ მძლე ძალით სატყორცებელი, მას ზედა საყოფელსა კერპთასა და შემუსვრა და აწვლილნა იგინი და დაირღვიოს ზღუდენი იგი ქარისა მიერ სასტიკისა და შთაიბნივნეს იგინი მათ შინაო“... ასე დაემხო წარმართი საქართველოს მრისხანე ხელისუფალი ღმერთი, ესოდენ ძლიერი, რომ მტერზე „ზღვას მოაქცევდა“...

მას მერმე ქართველი ერი ურიათა ქრისტეს დედისაგან გრეხილ ვაზის ჯვარს დაემოწაფა... ნიკოლოზ მაკიაველის სიტყვით რომ ვსთქვათ, ახალმა სარწმუნოებამ ისე მოსპო ადრინდელ საწარმართო საქართველოს კულტურისა და ისტორიის ხსენება, ვითომც მომსვრელ ჭირს, ან წარღვნას წაეღოს იგი... მაგრამ განვლო ხანმა, ებრაელთა ქრისტე გაქართველდა ჩვენთვის და ქრისტიანობა, ანუ, უფრო სწორედ რო ვსთქვათ—ორტოდოქს-მართლმადიდებლობა, ქართულ სახელმწიფოს განუყრელი თანაზიარად იქცა და იმავე ეროვნულ იდეალით განიმსჭვალა, როგორც ერთმეფობა... ჩვენის ეკლესიის წმინდანები უფრო მეტად საქართველოს ხელმწიფებისათვის წამებულნი არიან, ვიდრე ეკლესიისათვის. ქართულ ეკლესიის გეოგრაფიულმა და კანონიურმა განცალკევებამ ხელი შეუწყო თავისებურ ფერისა და ორიგინალობის განმტკიცებას... რომ ბედკრული ომიანობა და მტერთა შემოსევა არა, დაბოლოს ქართული ეკლესიაც ისევე გამოიყოფდა თავის თავს და ისევე დაშორდებოდა ორტოდოქსობას, როგორც დაშორდნენ მას გრიგორიანი სომხები... ბედნიერი ვიქნებოდით, ჩვენ წინაპრებს ეს რომ მოესწროთ.

მაგრამ ქართველ ერის რელიგიურ შემოქმედების ლონე მალე განახევრდა... „ქებაშესხმულ“—მოჰამედის ისლამით მოინათლა სპარსთა და თურქთა მიერ პყრობილი საქართველო... „რელიგიას ძალადობა არ სჭირდებაო“—ნათქვამია ყურანში (II. 257). გარნა ისლამი მაინც ხრმლის წვერით უფრო მტკიცდებოდა, ვიდრე ნინოსებურ ცრემლ-ტირილით... მიუხედავად ამისა გამაჰმადიანებული ქართველობა ისეთივე „ორთოდოქსი“ აღმოჩნდა ისლამში, როგორც წინად ქრისტიანობაში იყო... ქართველი ერის „შობა“ გაორდა: ძველს ახალი—„მოვლუდი“ მიემატა...

გავიდა ხანი და თვით ქრისტიანი ქართველობა გაიყო ორად: ორთოდოქსებს კათოლიკენი გამოეთიშნენ, მოვლუდს „ნატალის“-იც მიემატა...

ასე დაიბზარა და დაიმსხვრა საქართველოს ეკლესიის ძვირფასი ბარძიმი... ბედმა და განგებამ არ დაგვანება ქართული სარელიგიო სახე ჩამოგვექანდაკებინა.

დღეს, 14 აპანისს, მხოლოდ ორთოდოქსი ქართველნი თუ უქმობენ ნინოობას... კათოლიკე-ქართველთათვის დღეს მხოლოდ ეპისკოპოს გილიარის და წინასწარმეტყველ მალაქიას დღეობაა; და მაჰმადიან ქართველისათვის დღეს ნინოობა კი არა, მხოლოდ რები-ულ-აჰირის შანბეა...

მაგრამ არის დღე, როდესაც ორთოდოქსი, მაჰმადიანი და კათოლიკე ქართველი ერთნაირად გრძნობს, რომ იგი ჯერ ქართველია და მერმე, მხოლოდ მერმე, მაჰმადიანი ან კათოლიკე.. რადგან არ არსებობს მაჰმადიანი, კათოლიკე, ან მართლმადიდებელი სისხლი: სხვა და სხვა ფერის ქართული სისხლი არავის უნახავს! ეს თამარის დღეა...

დღეს ისე, როგორც შარშან და მის წინადაც—ქართველთა სული ომით

არის შეძრწუნებული... საერთო წესია, რომ ომიანობა გულის სარელიგიო აზრებს ამაგრებს... უცხო, ძლიერი შთაბეჭდილებანი სულს ართმევენ თავზარდაცემულ ადამიანს, უმწვავებენ ცხოვრების უზენაეს სინტეზის მოთხოვნილებას და სარწმუნოებას აწყურვებენ... საქართველოში ამის ნიშნები ჯერ-ჯერობით მხოლოდ სოფლის უბრალო ხალხში თუ სჩანს, ისიც პათოლოგიურად... რელიგიური იმპულსი მარტო საეკლესიო ფერისა არ არის... საფრანგეთს არასოდეს უგრძვნია ისეთი სარწმუნოებრივი იმპულსი, დიდის რევოლიუციის დროს რომ განიცადა... საქართველომაც იგრძნო ამგვარი იმპულსი ამ თორმეტი წლის წინად... მაგრამ მალე მოეშვა...

დღეს ახალ, მძლავრ იმპულსის მოლოდინში ვართ... არ ვიცით, ეს ახალი იმპულსიც წინანდელისაებ გაყალბდება თუ, თვით წმინდა, მთელი ქართველი ერის ხორცსაც და სულსაც განბანს და განწმენდს...

ამ სასწაულს აქამდისაც მოვესწრებოდით, ქართველი ქალი ადრინდელ ქართველ დედათა წესზედ რომ იდგეს... ძველი ქართველი ქალი მამულის აღდგომის შენობას იმით აშენებდა, რომ ან დედა იყო და ერის კაცებსა ზრდიდა, ან და წამებული იყო და ერის სულსა ზრდიდა... დღევანდელ საქართველოს კაცების სიჭარბეც აკლია და სულის სიდიდეც. გარნა ქართველი დედა „შვილთა-სხმისათვის“ ტანჯვას ერიდება და ერის სულის შვებისათვის დატანჯული ქალი კი დიდი ხანია საქართველოს თვალითაც არ უნახავს...

გრიგოლ ვეშაპელი.

დიდება

უმშვენიერესი ჰიმნი, ხორციელობას დაცლეილი და სანიავქარო მარაოდ გარდაშლილი, უმაღლეს სულის ყვავილია—

დიდება!

უმაღლესი თილისმა, სულის უმაღლესობის ძიებისა „ზენაართ სამყოფია“, „დიდების“ ჰიმნით მოქსოვილი არსებობის გარდაღმა მხარე.

კაცობრიობა სულის უტკბეს სამეუფოს ლეგენდების უტურფესი ვარდით ჰქარგავდა.

ყოველ ლეგენდის ფსალმუნი კი კურთხევით იწყება და „დიდებით“ თავდება.

ქნარა ერთაშორის ჩვენც შევქმენით ძვირფასი საგალობელნი, უკვდავნი ჰიმნი ჩვენის ღმერთებისა.

თუ ჟამთა სრბოლით ღმერთთა ღმერთობა დამხობილა, სამაგიეროდ შეგვრჩა ჰიმნი, ჰიმნი დიდებისა,— როგორც ქალდელების უნაზესი გრაცია—

უკვდავი ნინო!

ვინაა იგი? საიდან მოვალს? მართლა მითია თუ ლეგენდა?—ჩვენ ეს არ ვიცით, და არა გვსურს ვიცოდეთ რამე. ვიცით, გვწამს კიდეც, რომ იგი მშვენებაა, სულის უნაზესი ფსალმუნი, სიკეკლუცის სიკეკლუცე, ჩვენი ერის სამარადისო საწინდარი, უტკბესი სიმბოლო.

დიდება!

გარდაუტეხელი ყვავილი ჩვენი სულისა ეძიებს ნუგეშს. და ეს ნუგეში გვეფინება მისი სახელით!

დიდება!

უტკბესი თაფლი, სასოების ფრთა შესხმული თეთრი ოცნება მან შეიწირა, მან შეისხა შარავანდედად, ჩვენ მასით ვსუნთქავთ, იგი არის ჩვენი— დიდება!

დ. კ—ძე.

ქართველ ქალთა დღესასწაული

დღეს სიწმიდის დღესასწაულია.

დღეს ქალთა შორის უნათლესის წმინდა ნინოს დღეა.

ქართველი ერი დღეს ზეიმობს და იგონებს მარად ნეტარ სახებას იმისას, ვისთანაც დაკავშირებულია საქართველოს ქრისტიანული სახებაც.

ქართველნი ქალნი, ვისთვისაც ყველაზედ ძვირფასია ეს დღესასწაული, დიდ საზეიმო საღამოთი იხდიან წმიდა ნინოს დღეობას.

და ყოველი ქართველი, ვისთვისაც წმიდა და ნათელია ეს დღე, უნდა დაესწროს საღამოს.

ყოველ ჩვენთაგანის გონება უნდა ოცნებით გადაეშვას შორეულ წარსულში, რომ ვიხილოთ ნათელი სახება— უწმიდესის ქალისა, საქართველოს სიწმიდისა!

ჯ.

ზარი მწუხრისა

პატრიარქმა ფოტიმ ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში სთქვა: ქართველი ერი ბურჯია წმიდა ქრისტიანულ სარწმუნოებისაო. დიდის კულტურულის ზრდითა და ზნეობრივის სიფაქიზით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი ქართველი ერი, რომ სასულიერო კანონისტები აღფრთოვანებინა ქართველთა რწმენას და საქართველოს ეკლესია ქრისტეანობის ბურჯად გამოეცხადებინათ. ქართველთა სულიერ საუნჯის წინაშე თვით მტერიც კი ქედს იხრიდა და აკი მხოლოდ მას ჰქონდა უფლება იერუსალიმში თავისუფლად შესვლისა ხელში გაშლილ დროშის დაჭერითა.

თვით დიდი რუსეთი ძველადვე კარგად იცნობდა საქართველოს თავისუფალ ეკლესიას, მეფეები (იოანნე მრისხანე) იგონებდნენ თამარ დედოფლის სჯულს და რაიმე, განსაცდელის დროს მისის სახელით და სჯულით ამხნევებდნენ თავიანთს ჯარს. ეკლესიის გარშემო იკრიფებოდა კულტურული ძალა ჩვენის ერისა, აქვე ირაზმებოდა იგი და შეიარაღებული ეფინებოდა არა მხოლოდ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას, არამედ მის გარეშეც, ეკლესიასვე ედო მისია ქართველ ერის მომავალ საერო მოქალაქეობრივის ზრდისა და განვითარებისა.

განუზომელია ღვაწლი ჩვენის ეკლესიისა ერის წინაშე: ქართველი სულიერად აღამაღლა და განათლებულ ქვეყნებს გვერდში ამოუყენა.

ქრისტიანობამ დიდება მისცა ქართველ ერს, მაგრამ უფრო დიდებულ ჰყო ის პირი, ვინც ქრისტეს ჯვარი საქართველოში გამოსახა. დიდებულია განმანათლებელ საქართველოსი წმ. ნინო, რომელმაც, კაპადოკიიდან წამოსულმა და გზაში დევნილმა და ტანჯულმა, პირველმა აღმართა ქრისტეს ჯვარი ჯავახეთის მთაზე და შუაგულ ქართლში დაეშვა. ატოკდა მგრძნობიერი გული ქართველისა, მეფემ და მთელმა ერმა უარ ჰყო კერპები და წმ. ასულის წინაშე მუხლი მოიდრიკეს.

წმ. ნინოს არმაზის მთაზე სიხარულის ცრემლი მოსწყდა, რა დაინახა თვის წინაშე მოქცეული ხალხი. საქართველოს ქრისტეს სჯული ელვის სისწრაფეით მოედო, ყოველგან რეკა ისმოდა ზარისა.

ესე იყო მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, ვიდრე საქართველოს ეკლესიამ, ნაცვლად თავისუფალ სამხიარულო ზარისა, მწუხრი არ ჩამოჰკრა. მაგრამ ქართველი ვერ მიჰხვდა ამ ზარის იდუმალ ზახილს, მას თითქოს სმენა დაჰკარგოდა. ესე იყო თითქოს ასის წლის განმავლობაში და, ბოლოს, დრომ თავისი გააკეთა. საქართველომ იგრძნო მწუხრის ხმა ეკლესიისა, ვერ შეურიგდა ბედშავ დღეს და ხმა აღიმაღლა... მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეროვნული სურვილი და მისწრაფება [illegible] ვერა შლის და, რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება დღენი ჩვენი. ამგვარად ითრგუნება ჩვენი ეროვნული მისწრაფება, თავისუფალ ეკლესიაზე ლაპარაკსაც კი გვიშლიან.

ჩვენდა საიმედოთ ქართულის ეკლესიის მწუხრის ხმა კვლავ გაისმის, არ შეიძლება ამ იდუმალმა ხმამ ქართველს, გულში ჩამარხული გრძნობები არ აუტოკოს, მაშინ ერის მოზღვავებულ ნებას ვინღა გადაეღობება წინ?

დღეს, როდესაც ჩამოჰკრავს მწუხრის ხმა, ბოდბის მონასტრისა და ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს საფლავთან ერევნის ეჰის. დიმაანის უცხო და უცნობი ხმა გაისმის, წმ. ნინოს, ნაცვლად სიხარულის ცრემლისა, მოსწყდება სევდის ცრემლი და ამ წუხილს მთელი ქართველი ერი გაიზიარებს.

მაგრამ, ნუთუ წუხილსაც ბოლო არ უჩანს?

როდემდის?

ჩ. კაპანაძე.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

რიგა-დვინის ასპარეზზე, ტირულის ჭაობების მახლობლივ, ბრძოლა გრძელდება და თან უფრო მკაცრს ხასიათს ღებს. ახლა გერმანელებს ტირულის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაუწყიათ შეტევა, სოფ. შმარდენთან. ამავე დროს ბრძოლაა სოფ. კალნცემთან, სადაც მოპირდაპირეს რუსეთის იერიშზე კონტრ იერიშით უპასუხნია და იძულებული გაუხდია რუსის ჯარი კიდევ ერთი ვერსით უკან დაეხივნა. მთელის ბრძოლის ხაზი, სადაც ახლა ომი სწარმოებს, იწყება კალნცემიდან და თავდება შმარდენთან. ხაზი მეტისმეტად მოკლეა, ამავე დროს საერთო მთელის ბრძოლის პირის კუთხეს წარმოადგენს. ჩრდილოეთით ამ აქტიურ ასპარეზს ტუკუმ რიგის რკინის გზა ჩაუდის, სამხრეთით კი ტუკუმ-მიტავასი. მაშასადამე, ზურგი ამ მიდამოს მარჯვე აქვს, რადგან მოპირდაპირე ადვილად შესძლებს ჯარების მიშველებას. მიუხედავად ამისა, მთავარ სტრატეგიულ ადგილად, საიდანაც უნდა მოველოდეთ მტრის გადამწყვეტ შეტევას, არ გამოდგება. ტირულის ჭაობებს აღმოსავლეთით ბაბიტის ტბა მოსდევს. ფართო მოქმედებას ადგილი არ ექნება, რადგან ეს ჭაობები ხელს შეუშლიან. თვით დღესაც ბრძოლა ტირულის ჭაობის ნაპირებით სწარმოებს. ცენტრი კი ისევე გაჩუმებულია. თუ მტერს, ან და რუსეთის სამხედრო შტაბს მართლაც სერიოზული განზრახვა აქვთ, მაშინ ბრძოლის ხაზი უფრო სამხრეთით უნდა გადავიდეს. ტირულის ჭაობები კი ორივე მხარესათვის მარჯვეა, როგორც ერთგვარი ბუნებრივი ზღუდე, ფრთის გასამაგრებლად. დღეს აქ გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს, უფრო ბრძოლის ხაზის გასასწორებლად. რუსეთის იერიშები უპირველესად საფრთხეს უქადის ქ. ტუკუმს, რომელსაც მოპირდაპირესათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ქალაქის დაკარგვით მთელი მარცხენა ფრთა გერმანელებისა, ზღვიდან მოყოლებული, შეიძლება საშიშ მდგომარეობაში ჩავარდეს. აი, სწორედ ეს გარემოება აიძულებს მოპირდაპირეს ბრძოლის ხაზი იმდენად გამოასწოროს, რომ მარჯვენა ფრთა უზრუნველ ჰყოს მოულოდნელ თავდასხმისაგან.

დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

ომის დეპეშები

13 იანვარი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. შმარდენის ჩრდილოეთით, ტირულის ჭაობების ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში, რიგის დასავლეთით მოპირდაპირემ ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ დარაზმულად წამოვიდა მაგრამ სროლით სანგრებშივე შევრეკეთ. ტირულის ჭაობებისა და მდ. აას შუა მდებარე ჩვენს სანგრებს მოპირდაპირემ ზედი-ზედ შემოუტია, ჯერ ვიგერიებდით, მერე უეცარი იერიშით გაექნა ერთი ჩვენი სახელოვანი პოლკი და მოპირდაპირე ტირულის ჭაობები აღმოსავლეთით მდებარე ბორცვიდან სამხრეთისაკენ განდევნა. მდ. აას აღმოსავლეთით სოფ. კალნცემის მიმართულებით იერიში მივიტანეთ მტერზე; გერმანელები სროლით გვიპასუხებდნენ, მერე ზარბაზნების ძლიერი სროლა აგვიტეხეს, იერიშით წამოვიდნენ და ჩვენს ჯარს 1 ვერსზე ჩრდილოეთით დაახევინეს. ცხარე ბრძოლა 14 საათია გრძელდება. ქ. ბროდის დასავლეთით, სოფ. სმოლნოს მიდამოებში მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ, რომელიც ბენზინის აბრიალების გამო დაიწვა. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ. საფრენს 2 ტყვიისმფრქვეველი ავაცალეთ.

რუმინეთის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე ნამქრებია.

შავი ზღვა. ჩვენმა წყალქვეშამ ბოსფორთან 4 ორთქლმავალი დასძირა, 3 ნაპირზე გარიყა, სადაც დაიმსხვრა.

ინგლისი.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზი. ლოოსის სამხრეთ-დასავლეთით მტრის შემოტევა ადვილად მოვიგერიეთ. ბრძოლის ველზე მტერმა ბევრი დაჭრილ-დახოცილები დასტოვა, ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. მეორე რაზმის შემოტევა მტრის ზარალით მოვიგერიეთ. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით ღამე მარჯვეთ შევიჭრით მტრის სანგრებში. დილით ზარბაზნებით ბრძოლა იყო სომას და ანკრის ჩრდილოეთით და არმანტიერისა და იპრის მიდამოებში. გუშინ ერთი საფრენი დაგვიღუპეს, გერმანელების 6 საფრენი დავაზიანეთ, 3 იძულებული გაყვით დაშვებულიყო. ჩვენ კიდევ ორი საფრენი გვაკლია.

ლონდონი. გერმანელების ნაღმოსანი № 309, ძალიან დაზიანებული ეიმეიდენის ნავთსადგურში მივიდა დაჭრილ დახოცილებით. მებადურთა გემი „ემიტ“-ი ეიმეიდენის ნავთსადგურიდან 10 გერმანელი დაჭრილი მეზღვაურით მოვიდა. ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია გერმანელების 12 გემს, ინგლისელების 10-ს. ინგლისის გემებს მყის იერიში მიუტანიათ და ახლო მანძილიდან სროლა აუტეხიათ. გემის ბაქანი ყუმბარას აუკლეჯია და ფლოტილიის სარდალი შეულციც მოუკლავს. ნაღმოსანს ნაღმი უსროლია, მაგრამ ამ დროს თვითონაც მოჰხვედრია ინგლისის გემიდან ნაღმი, რომელსაც გემის გვერდი შეუნგრევია. გემზე 60 მეზღვაური ყოფილა. გერმანელ მეზღვაურთა სიტყვით, გერმანელების 7 გემი დაღუპული.

საფრანგეთი.

პარიზი. საღამოს ოფ. ცნობა. მულენ-სუ-ტუვანის მიდამოებში, „304“ მაღლობის ჩრდილო-აღმოსავლეთით ზარბაზნებით დავანგრიეთ მტრის სანგრები. კარერის ტყის მიდამოში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. სუასონის აღმოსავლეთით, მაასის მიდამოში, გერმანელებმა ორჯელ უეცარი იერიში მოიტანეს ერთი ჩვენი ბრძოლის ხაზისაკენ, მეორე ეპარზე, მაგრამ მოვიგერიეთ. გერმანელების ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ ვოკსერანის მახლობლად.

[illegible]

რომი. [illegible] ცნობა. ვალკანონკაში, ტონალეს მიდამოებში, მოპირდაპირემ სცადა ჩვენ სანგრებთან მოახლოვება, მაგრამ მოვიგერიეთ. ალპების ხაზზე, გორიცის აღმოსავლეთით მტერი მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს, ბონეტის ტბისა და კარსოზე მდებარე დომერდის შუა. რამდენიმე ყუმბარა ჩვენს საველე ჰოსპიტლებს მოხვდა, მაგრამ ზარალი არ მიუყენებია.

გერმანეთი

სტოკჰოლმი. ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან: ოფიციალად გამოცხადდა, რომ გერმანეთში მყოფი მოპირდაპირე სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან განსაზღვრული სამუშაო იკისრონ. ვინც ამ შრომას მოერიდება, ციხეში ჩაჰსმენ.

ავსტრია

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან: შესამოწმებლად დაიბარეს ლანდშტურმის ჯარში გასაწვევნი 1899 წელს დაბადებულნი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

შვეიცარია

შვეიცარიის გაზეთები საგონებელს ეძლევიან იმის გამო, რომ საფრანგეთმა და გერმანეთმა ამ ბოლო დროს განაცხადეს, შვეიცარიის ნეიტრალობას არ შევეხებითო, ავსტრია კი ჯერაც სდუმს.

პოლონეთის სამეფო

თ-დი ჩარტორიისკი.

ვარშავაში მისულა ბულგარეთის მეფის ფერდინანდის, ნათესავი, თ-დი ადამ ჩარტორიისკი. განზრახულია, ეს თავადი პოლონეთის რეგენტად გამოაცხადონ.

დელეგაციის გამგზავრება

პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს რამდენიმე წევრი ამ ცოტა ხანში მიემგზავრება ბერლინსა, ვენასა, სოფიასა და სტამბოლში.

გერმანეთი

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ბერლინში შეიკრიბნენ ავსტრიისა, უნგრეთისა, ოსმალეთისა და ბულგარელთა პარლამენტთა თავმჯდომარენი.

მათი კრება რამდენისამე დღეს გასტანს. შეიმუშავებენ გეგმას ომის დროს და ომის შემდეგ სამოქმედოდ. ამ კრებაზე მიელიან ავსტრიის პრემიერ მინისტრს კლამ-მარტინცს და უნგრეთისას—გრაფ ტისას.

—

გაზ. „რეჩ“-ის სიტყვით, გერმანელები სერეტის ხაზით დიდძალ ჯარს აჯგუფებენ. ამგვარსავე საქმიანობას თვით რუსეთიც იჩენს და სწორედ ეს არის მიზეზი გერმანელთა მოუთმენლობისა, როდესაც სხვა და სხვა ადგილას მოულოდნელად უტევს. აი, ბრძოლის ხაზი, სადაც გერმანელები დროგამოშვებით მოქმედობენ: ჯერ კალნცემის აღმოსავლეთით შემოგვიტიეს, შემდეგ შარაზე, ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოველის მი-

ქართული ფრესკები

ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა ჯერ კიდევ არ გასცილებია პირველ საფეხურს. შესასწავლი მასალა თვალ-უწვდენელია, მის შეგროვებას და დალაგებას მთელი თაობის შეუჩერებელი შრომა სჭირია. ჯერჯერობით კი ამ სფეროში ორიოდე უანგარო და თავგამოდებული ადამიანი მუშაობს. გასაკვირალი არ არის, რომ მათი გამოცდილება ვიწროდ შემოფარგლულია და მათი თვალთსაზრისი არ ასულა ზოგადი იდეების სიმაღლეზე, საიდანაც შეიძლებოდა ქართული ხელოვნების ევოლუციის დანახვა ან კიდევ მისი ესთეტიური დაფასება.

მართალია ჩვენში უცხოელნი მკვლევარნიც მოდიოდნენ, მაგრამ მათ ბევრი რამ აკლდათ ჩვენი ნაშთების შესაცნობად. ჩვენს ძველს ისტორიას ნაკლებ იცნობდნენ, ძველი წარწერების წაკითხვა დიდათ უჭირდათ. თანამედროვე ქართველობაში კი ნაკლებ კულტუროსან ხალხს ჰხედავდნენ. მათი ცნობისმოყვარეობა გულგრილი და შეუშფოთებელი იყო და ქართული ხელოვნების ძეგლს ხშირად ისე უცქეროდნენ, როგორც ანატომები ცხედარს უცქერიან. მათ არ შეეძლოთ ხელახლა განეცადათ ის მდუღარება სულისა, რომელიც ჩვენს ძველს ოსტატებს ამოძრავებდათ.

ძლიერ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ უცხოელი მკვლევარები საერთოდ ამცირებდნენ ქართული ხელოვნების თავისებურობას. კარგად იცოდნენ, რომ საქართველო ერთს დროს ბიზანტიის კულტურულ წრეში შედიოდა; ქართული ხუროთმოძღვრებისა, მხატვრობისა თუ ოქრომჭედლობის დაფასებაში ამ წინასწარ შეძენილი ცოდნით ხელმძღვანელობდნენ. ჩვენი ესთეტიური შემოქმედების ინდივიდუალურ თვისებებს ნაკლებ უწევდნენ ანგარიშს.

უცილობელია, რომ საქართველომ პირველ ქრისტეანულ საუკუნეებში მართლაც განიცადა ბიზანტიის სულიერი და ნივთიერი კულტურის გავლენა. ამ გარემოებაში არაფერია დამამცირებელი. ყველა ნიჭიერი ხალხი თვალღია და გულგაშლილია და უცხო იდეებსა თუ ფორმალურ ღირებულებებს ადვილად ითვისებს; ეროვნული გენიოსობის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნასესხებ ელემენტებს თავისებურად აერთებს და განუმეორებელ სინტეზს ჰქმნის.

ქართულ ეროვნებაზე გავლენა იქონია არა მარტო ბიზანტიამ, არამედ სირიამ და სპარსეთმაც. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოგიერთი არქიტექტურული და მხატვრული ელემენტი ჩვენში დასავლეთ ევროპიელმა ჯვაროსნებმა, გენუელმა სოვდაგრებმა, ან კათოლიკე მისიონერებმაც შემოიტანეს. მაგრამ ეს უცხო გავლენა იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ ეროვნული თავისებურობა მოესპო ან დაეჩრდილა.

ეს განსაკუთრებით ქართული ფრესკების შესახებ ითქმის. სიტყვა-კაზმული მწერლობის გარეშე, არც ერთს ესთეტიურს დარგში არ გამოუჩენია ქართველ ხალხს ისეთი ორიგინალობა, როგორიც კედლის მხატვრობაში გამოიჩინა. ამ მხრით ჩვენს სამშობლოს მხოლოდ იტალია სჭარბობს. მაგრამ იტალიაში ფრესკების ხატვამ მხოლოდ ჩიმაბუეს და ჯიოტტოს სკოლის შემწეობით მოიპოვა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, განვითარების უმაღლეს წერტილს კი მიქელ-ანჯელოსა და რაფაელის შემწეობით მიაღწია. ეს დიდი იტალიელი ოსტატები მეთოთხმეტე და მეთოთხმეტე საუკუნეში სცხოვრობდნენ. ჩვენ კი მოგვეპოვება თარიღიანი კედლის მხატვრობა, რომელიც მეცხრე საუკუნის შუაწლებს ეკუთვნის და საფიქრებელია, რომ ზოგიერთი უთარიღო ქართული ფრესკი კიდევ უფრო ძველს დროშია შესრულებული.

საქართველოს მოსაზღვრე ქრისტეანულ ქვეყნებსა, ბიზანტიასა და სომხეთში, ფრესკების ხატვა არ იყო განვითარებული. სომხებს თვით სარწმუნოებრივი კანონი უკრძალავდა საეკლესიო კედლების დასურათებას. ბიზანტიაში თავდაპირველად რელიგიური მხატვრობა აკრძალული არ ყოფილა, მაგრამ ბიზანტიური ხელოვნება ყოველთვის უფრო განყენებისა თუ მონუმენტალობისკენ იყო მიმართული და სოფიის კენჭს ანუ მოზაიკას უპირატესობა ეძლეოდა ფრესკების წინაშე. იუსტინიანეს დროის დიდი ტაძრები რავენასა, კონსტანტინეპოლსა და თესალონიკში სოფიის კენჭითაა მოხატული. შემდეგ მერვე და მეცხრე საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ხატთა მებრძოლმა სექტამ გაიმარჯვა და საეკლესიო მხატვრობის განვითარება შეაჩერა. მაგრამ მეათე და მეთერთმეტე საუკუნეში, მაკედონელი დინასტიისა და კომნენების დროს, ხელახლა ჩარჩოიანი ხატებისა და სოფიის კენჭის ტეხნიკა აღორძინდა. ფრესკების ხატვა არც პალეოლოგების დროს ყოფილა დიდს პატივისცემაში. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველი ბიზანტიის ტერიტორიაზე არ მოიპოვება არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ფრესკების სიმდიდრით ჩვენს ბეთანიას, ზარზმას, გარეჯას, გელათს ან ტიმოთეს უბანს შეედრებოდეს. სამაგიეროდ ჩვენი ქვეყანა მოზაიკის ანუ სოფიის კენჭის მხატვრობითაა ღარიბი. ცნობილია მხოლოდ ორი მოზაიკა: წრომის ტაძრისა და გელათის მონასტრისა. ორივე წმინდა ბიზანტიური სულითაა გამსჭვალული.

მაგრამ ჩვენი კედლის მხატვრობა ბიზანტიურს სჭარბობს არა მარტო რაოდენობით, არამედ ესთეტიური ღირსებითაც. ბიზანტიელი ოსტატები უწინარეს ყოვლისა მოზაისტები იყვნენ და მათ თითებს აღარ ეხერხებოდა ყალმის თავისუფალი მოსმა. მათი მხატვრული კომპოზიცია საერთოდ უნაკლულო იყო, მაგრამ ამასთან ერთად მოსაწყენი და ერთფეროვანიც, მიტომ რომ მკაცრ სიმეტრიაზე იყო დაფუძნებული. ფიგურებს მოძრაობა აკლდათ, სახეებს მეტყველება. ყოველი დამახასიათებელი დეტალი უარყოფილი იყო საერთო შთაბეჭდილების გულისთვის, საერთო შთაბეჭდილება კი ზვიადი და დღესასწაულებრივი იყო. სურათების უკანა პლანზე არ იხმარებოდა არც პეიზაჟი, არც არქიტექტურის ელემენტები, გაერთიანებულ ოქროსფერ ფონს კი მიუწდომელ იდეალურ სფეროში გადაჰქონდა ფიგურები და სცენები.

ჩვენმა ალერსიანმა მზემ და ჩვენმა ცხოველმა ტემპერამენტმა გაადნო ბიზანტიური ასკეტიზმი და ბიზანტიურ გაშეშებულ სხეულსა და დაღრეჯილ სახეს მოქნილობა და მჭერმეტყველობა მისცა. წმინდანები მომაკვდავებს დაუახლოვდნენ და ადამიანურად გასაგებნი გახდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბეთანიის კედლის მხატვრობაა საყურადღებო. ქართული ქრისტეანული ხელოვნების რეალიზმმა ამ ფრესკებში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს იმდენად გიორგი მესამისა, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის პორტრეტეში არა სჩანს, რამდენადაც წმინდანების ფიგურებში, რომელნიც ტაძრის საკურთხეველში არიან მოთავსებულნი. როგორც სჩანს მეფეების გამოსახვაში ოსტატის თავისუფლება შეზღუდული ყოფილა: მას ბრძანებლები ისე დაუხატავს, როგორც ამას კარის ეთიკეტი და ჩვეულება მოითხოვდა. სამაგიეროდ მის დაკვირვების ნიჭს, ფანტაზიას და კომპოზიციის ცოდნას ლაღად ფრთა გაუშლია რელიგიური სიუჟეტებისა და წმინდანების გადმოცემაში. და მას შეუქმნია თორმეტი წინასწარმეტყველი, თორმეტი მოციქული და თორმეტი საეკლესიო მამა, რომელნიც სწორედ რომ ღირსნი არიან გვერდში ამოუდგნენ იტალიური რენესანსის საუკეთესო ქმნილებებს. დამახასიათებელია ბეთანიის ფიგურების ბუნებრივი მოძრაობა, ფსიხოლოგიური სხვადასხვაობა, მდიდარ ნაოჭიანები ტანთჩაცმულობა. მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი მათი სხეულის რელიეფია. საშუალო საუკუნეების მხატვრებს საზოგადოთ უჭირდათ სხეულის კონტურების გადმოცემა და მათი ფიგურები უმეტეს შემთხვევაში ბრტყელ ფირფიტებს წააგავდნენ. ბეთანიის ოსტატი ამ მხრივ გასცილებია თავის ბიზანტიელ და დასავლეთ ევროპიელ თანამედროვეებს და კლასიკური ხელოვნების ტრადიციები აღუდგენია. მას ჰქონია არა ჩვეულებრივი ანატომიური ცოდნა ადამიანური სხეულისა. ახლო დაკვირვებამ უცილობლად დაამტკიცა, რომ მას ჯერ ტიტველი მოდელის ესკიზი გაუკეთებია და შემდეგ სამოსელით დაუფარავს. ამიტომ ნაოჭებში, როგორც სველს ტილოში, ნათლად მოსჩანს სხეულის ნაკვთები და კონტურები.

ქართული ფრესკების ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა პირდაპირ განუზომელია. მათში წარსულ საუკუნეთა სულია განივთებული. მკვდარი ისტორია ცოცხლდება, ეროვნულ გმირების სახელები ჰკარგავენ განყენებულ ხასიათს და ხელშესახებ სინამდვილედ ხდებიან. რა იქნებოდა ბაგრატ IV, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ლაშა გიორგის ან ათაბეგების მშრალი მატიანე—ისტორიული ფრესკები რომ არ შეგვრჩენოდა? ბეთანიის, ზარზმის, საფარის, ჭულების და გელათის ოსტატებს უნდა ვუმადლოდეთ დღევანდელი ქართველები, რომ ჩვენი ისტორიის ფურცლები შეუდარებელი ილუსტრაციებითაა გაცხოველებული.

მაგრამ დღევანდელი ქართველები უმადური ხალხი ვართ და აგრე რიგად აღარ ვაფასებთ წარსულ საუკუნეების ღვაწლს. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ძვირფასი ფრესკები დღეს ასეთ უწყალო და სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. დიდი წილი კიდეც დაიღუპა სამუდამოდ. ტეხვრამ და ხორშაკმა გაანადგურა ძველი ქართული ტაძრები და მათი კედლების მხატვრობა წვიმამ

მართულებით და სხვაგან. სად უფრო გააფართოვებენ მოქმედებას დღევანდელ პირობებში, გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

საბერძნეთი

ჯარის გადაყვანა

საბერძნეთის ჯარის გადაყვანა პელოპონესში შაბათს დაიწყო. გადაყვანას ორი კვირა მოუნდება.

გემების ჩამორთმევა

ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიქირაოს საბერძნეთის სავაჭრო გემები, 240 ათასი ფუთის მზიდველები. თუ გემის პატრონები და საბერძნეთის მთავრობა ნებაყოფლობით არ დაანებებენ გემებს, მაშინ ძალით ჩამოართმევენ.

ვენიზელოსელთა განთავისუფლება

ათინასა და სხვა ქალაქებში 1600 ვენიზელოსელნი გაანთავისუფლეს.

რუმინეთი.

ბ. შუმსკი ეხება რა რუმინეთის ბედს დასძენს, რომ ამ უკანასკნელ დროს, რუმინეთმა მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო, სადაც დიდი სტრატეგიული ცვლილება მოხდა. დღეს დღეობით აქ ბრძოლა შესუსტდა, უფრო დიდ ბრძოლის მოლოდინში, რომელიც უნდა მოხდეს გაზაფხულსა და ზაფხულში. შუმსკი დასძენს: „თუ გიორგობისთვეში და ქრისტეშობისთვეში რუმინეთმა ყველას ყურადღება მიიპყრო, ახლო მომავალში ეს ბრძოლები მკრთალი იქნება, უდიდეს ბრძოლებთან. მხოლოდ რა ადგილს მოხდება ეს ბრძოლა, ძნელი გამოსაცნობიაო.

უკანასკნელი ცნობები

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთში ოფიციალად ბრძანება გამოცხადდა, რომელიც გერმანეთში მყოფ მოწინაალმდეგე სახელმწიფოთა არა სამხედრო წოდების ქვეშევრდომთ მოვალედ ჰხდიან ისევე იმუშავონ მიჩენილ საქმეზე, როგორც თვით გერმანელები მუშაობენ. ბრძანების დამრღვევს სამართალში აძლევენ და ერთის წლის ციხეს უსაჯავენ.

—

ციურიხიდან იტყობინებიან: ავსტრიაში 1917 წლის მოხალისეების მობილიზაცია გამოცხადდა. ამ მოხალისეებს თებერვალში ჯარში ჩარიცხავენ.

—

რუსეთის შინაურ ცხოვრების მთავარი ხასიათი ფრანგებმა ცოტად თუ ბევრად გამოარკვიეს და იმ აზრს დაადგნენ, რომ რუსეთის შინაურ ცხოვრების კრიზისი გარდამავალი უნდა იყოსო. დღეს ფრანგები მთელს ყურადღებას რუსეთის შინაურ პოლიტიკას აქცევენ.

—

იმ ირლანდიელთ, დუბლინში მომხდარ აჯანყების დროს რომ დააპატიმრეს, ბრიტანეთის მთავრობამ ყველას დანაშაული აპატივა და შობის წინადღით სატუსაღოებიდან გამოაშვებინა.

ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** დაწესებულებაში, როგორც, მაგალითად, სკოლებში, თავშესაფრებში და სხ., რომელთაც ტატიანას კომიტეტისაგან დახმარება ეძლევათ, 12 იანვარს გადახდილ იქმნა სამშვიდობო პარაკლისი მისი უმაღლესობის ტატიანა ნიკოლოზის ასულის სადღეგრძელოთ.

◆ **ლაზისტანის საჭიროებანი.** 12 იანვარს სხდომა ჰქონდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას. სხდომაზე მიწვეული იყვნენ და დაესწრნენ წერა-კითხვისა და საეთნოგრაფიო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. განხილულ იქმნა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებულის ბ-ნ კ. კობახიძის მოხსენება ლაზისტანის საჭიროებათა შესახებ, მაგალითად, სურსათისა, ქართულ სკოლებისა, სამკურნალო დახმარებისა, თავშესაფრებისა, სხვა და სხვა საწყობისა და სხ. კრებამ მოიწონა მოხსენება და იმაში აღნიშნულ მუხლების თანდათანობით განხორციელება მიუცილებელ საჭიროებად სცნო. დადგენილ იქმნა განსაკუთრებულ დეპუტაციის პირით ყოველგვარი დახმარება სთხოვოს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, ხოლო ფაქტიურის ცნობების შეკრება ლაზისტანის შესახებ მცოდნე კაცებს მიანდო.

◆ **ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ** ვ. ი. რცხილაძე აირჩია თავის წარმომადგენლად მოაგარაკეთა საზოგადოების წევრთა კრებისათვის, რომელიც უნდა შესდგეს 5 მარტს.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიაში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება საცნობისმიმცემო ხასიათისა. მოხსენებას წაიკითხავენ: **გ. ჩურსინი**—„მინერალური წყლები ლენქორანის მაზრისა, **ი. გლოტოვი**—საზოგადოების საცნობის მიმცემო ბიუროს მოქმედება 1916 წ. და განზრახული ორგანიზაცია მისი შემდეგისათვის“. კრება საჯაროა. შესვლა უფასოდ. იმავე დღეს საზოგადოების წევრთა საერთო კრებაა დანიშნული იმავე შენობაში. უნდა განიხილონ საბჭოს მოხსენება საზოგადოების წესდების მეორე პარაგრაფის მეორე პუნქტის გამოცვლის შესახებ.

ქალაქის დაწესებულებანი

◆ **ქალაქში მცენარეულობის** მომშენებელ კომისიას ამა იანვრის 11-ს სხდომა ჰქონდა და განიხილა ინჟინერ ლ. ნ. დიასამიძის ვრცელი პროექტი ვერის პარკის მოწესრიგების შესახებ. პროექტი ძალიან მოიწონა კომისიამ, მაგრამ იმის სავსებით განხორციელება ამ გაჭირვებულ დროს შეუძლებლად სცნო. კომისიამ პროექტის მხოლოდ ერთი მუხლის განხორციელება საჭიროდ სცნო ჯერ-ჯერობით, სახელდობ იმისა, რომ პარკში მისასვლელი გზა შეკეთდეს, რისთვისაც მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ვერის წყალზე ხის ხიდის გაკეთება. ამ ხიდის ხარჯთაღრიცხვის შედგენა კომისიამ მიანდო პროექტის ავტორს ლ. ნ. დიასამიძეს.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **დეპუტატ ჩხენკელის** ავადმყოფობა თანდათან უმჯობესდება. ტემპერატურა ნორმალი აქვს.

◆ **სამკითხველოს კრება.** კვირას, 15 იანვარს დილის 11 საათზე დანიშნულია ნაძალადევის სამკითხველოს კრება. კრება მოხდება სამკითხველოს ბინაზე.

◆ **„ცისფერ ყანწების“ საღამო.** 2 თებერვალს თბილისში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ განსაკუთრებით „ცისფერ ყანწების“ გარშემო შეკრებილი ქართველი პოეტები.

◆ **მშობელთა წრის დელეგატთა კრება.** სათავად-აზნაურო გიმნაზიის მშობელთა დელეგატების კრება მოხდება კვირას, ამა თვის 15, დილის 11 საათზე. განსახილველია მეტად საყურადღებო საკითხები.

◆ **ნაქურდალის აღმოჩენა.** 12 იანვარს მე-7 საპოლიციო ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ლიმაროვმა ქუჩაში გააჩერა მუშა, რომელსაც მიჰქონდა მოზდილი სკივრი. გასინჯვის შემდეგ ამ სკივრში აღმოჩნდა 150 წყვილი კალოში. მუშას თან მისდევდა ახალგაზრდა კაცი, ვინმე ყაზარიანცი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მაღაზიაში ვმსახურობ და კალოშებიც იქიდან გამომატანეს ბაზარში გასასყიდლათო. მაგრამ მისი ნათქვამი ტყუილი აღმოჩნდა. ყაზარიანცი დაატუსაღა ბოქაულმა და კალოშები ჩამოართვა.

◆ **შუამდგომლობის დაკმაყოფილება.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ ი. გ. ქუთათელაძემ მეფის ნაცვალს დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა შესახებ იმისა, თუ რა ღონისძიება უნდა იქნას მიღებული საქონლის ჭირის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში. ერთი ნაწილი ამ მოხსენებისა უკვე დაკმაყოფილებულია, სახელდობრ: მთავრობამ გაამრავლა რიცხვი ბეითლებისა დასავლეთ საქართველოში. რაც შეეხება შუამდგომლობის დანარჩენ ნაწილს, სახელდობრ იმას, რომ გადიდდეს ფასი მოსაკლავ ჭირიან საქონლისა და ასაცრელ შრატის ავ-კარგიანობა გამოირკვეს, ამის შესახებ მეფის ნაცვლის ბრძანებით ცნობები მოუთხოვიათ საბეითლო ნაწილის უფროსისათვის.

◆ **ნ. ა. ტარხაიძის ცხედარი** გუშინ, 13 იანვარს, დაკრძალეს. წირვაზე ქვაშვეთის ეკლესიაში დიდმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. განსაკუთრებით ბლომად იყვნენ სამოსამართლო დაწესებულებათა წარმომადგენლები. იყვნენ აგრეთვე ქართველ თავად-აზნაურთა და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მრავალი გვირგვინები მიიტანეს. წირვის შემდეგ ცხედარი წაასვენეს, გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით, და კუკიის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს.

◆ **ლტოლვილი იტალიელები.** ამ დღეებში თბილისში მოვიდნენ რუმინეთიდან გამოქცეული იტალიელები, რომელთაც დიდი გაჭირვება გამოუვლიათ გზაში. გამოქცეულები ყველანი გამოცდილი ხელოსნები არიან და იტალიის გენერალ კონსული ცდილობს სამუშაო უშოვოს მათ ისეთ ქარხნებში, საცა სახელმწიფოს დასაცავი მასალა მზადდება.

◆ **გაქურდვა.** ამა თვის 12-ს, ღამით, ბოროტმოქმედთ, გაუტეხნიათ ბ-ნ ფირალიშვილის რკინეულობის მაღაზია შტაბის ქუჩაზე და დიდძალი საქონელი წაუღიათ.

◆ **ყულაბებით ფულის მოგროვება.** 23 იანვარს პოლონელთა კომიტეტი, რომელიც ომისაგან დაზარალებულთ ეხმარება, ყულაბებით ფულის მოგროვებას აპირებს ლტოლვილთა ბავშვების სასარგებლოდ. ეს კომიტეტი პირველად აგროვებს ქუჩებში ფულს.

◆ **ოფიციოზურ გაზ. „კოლოკოლის“** საახალწლო ნომერში დაბეჭდილია: „1917 წლის იანვრის პირველისათვის საქართველოს საკათალიკოსოში იყვნენ: ერთი რუსის არქიეპისკოპოსი, ექზარხოსად წოდებული, ერთი ნახევრად დამოუკიდებელი რუსის ეპისკოპოსი, ერთი რუსის ქორ-ეპისკოპოსი, ორი ქართველი ქორ-ეპისკოპოსი და ორი დამოუკიდებელი ქართველი ეპისკოპოსი.

◆ **ალ. არაბიძეს პეტროგრადში** გაუმართავს წიგნებით სავაჭრო და ქართულ წიგნების გამომცემელთა სთხოვს თავიანთ გამოცემათა ათ-ათი ცალი ყოველთვის გაუგზავნონ ხოლმე შემდეგის მისამართით: Петроградъ. Владиміровскій, 10, кв. 26. А. Д. Арабидзе.

◆ **შაქარი.** ქალაქის გამგეობის ცნობით ფუთი შაქარი ამ ჟამად ბორჩალოში 160 მანეთადა ჰფასობს.

◆ **ახალი უფროსი ფოსტა-ტელეგრაფის** ოლქისა ინჟენერი რაკიტინი უკვე ჩამოვიდა თბილისში.

◆ **ფრესკების გამოფენა.** გამოფენილია, სხვათა შორის, მე-XI საუკუნის სახარებიდან გადმოღებული სურათები ანასტასია ქიქოძისა (ამირაჯიბის ასულისა).

◆ **ცეცხლი.** გუშინ, 13 იანვარს, დილის 9 საათზე, მებაღეობის სკოლის ეზოში ცეცხლი გაუჩნდა ბოსტნეულობის სახმობ ფარდულს და სულ ერთიან გადაიბუგა. ცეცხლის მქრობელი რაზმი გვიან მოვიდა, როცა ფარდული სულ ერთიან ცეცხლის ალში იყო გახვეული. ვეღარაფერი გადაარჩინეს. ზარალი დიდია. 400 ფუთამდე მარტო ტყლაპი დაიწვარა. ცეცხლი, როგორც ამბობენ, სახმობ ქურიდან გაჩენილა. სკოლის მოწაფეები თავგამოდებით ცდილობდნენ ფარდულის გადარჩენას, მაგრამ ვერას გახდნენ.

◆ **თესლეულობის შეძენა.** ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე ი. გ. ქუთათელაძე თბილისს ჩამოვიდა და მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულს შუამდგომლობა მიართვა მიწადმოქმედების დეპარტამენტში წარსადგენად. ბ-ნი ქუთათელაძე თხოულობს დასავლეთ საქართველოსათვის მინდვრის სათესლე მასალას, აბრეშუმის (ყაჭის) თესლს, დაფნის თესლს, სხვა სამეურნეო და სამკურნალო მცენარეთა თესლეულობას და ნერგებს. მთავრობამ ეს მასალა ზოგი უსასყიდლოდ უნდა მიაწოდოს ხალხს, როგორც, მაგალითად, სამკურნალო მცენარეულობათა თესლი და ნერგი, ზოგიც შეღავათიან ფასებში.

◆ **ერობათა კავშირის** ამიერ კავკასიის კომიტეტს, მუშა ხელის სიმცირის გამო, ამიერ კავკასიის ასპარეზზე სამუშაოდ თურქესტანიდან დაუბარებია ყირგიზები და ბურიატები. იმავე კომიტეტს გადაუწყვეტია მომავალ გაზაფხულზე ხელი შეუწყოს სოფლის სამეურნეო მუშაობას და ამისათვის ინგლის-ამერიკის ფირმებიდან აპირებს სამეურნეო იარაღების შეძენას, რომლებსაც შეღავათიან ფასებში იჯარით მისცემს სამეურნეო საზოგადოებათ და კოოპერატივებს.

◆ **გაჭირვება სოფლად.** თბილისში ჩამოვიდა სოფ. შროშის (შორაპნის მაზრა) 1200 კომლის დეპუტაცია და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას წარუდგა საკვებ მასალის მხრივ დახმარების სათხოვნელად. სოფელში პურნახულის მოსავალი არ არ ყოფილა და ამის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის თურმე. სოფელი სთხოვს საზოგადოებას მიაწოდოს მას ფქვილი და სიმინდი განსაზღვრულ ფასებში. ვინაიდან საქველმოქმედო საზოგადოება სასურსათო ოპერაციას აღარ აწარმოებს, გამგეობამ დეპუტაცია გაგზავნა კოოპერატივთა კავშირში. აგრეთვე სთხოვა საზოგადოების განყოფილებას ყვირილაში, რომ შეძლების კვალობაზე დახმარება აღმოუჩინოს სოფელს.

სიღნაღი.

სიღნაღის მაზრაში შაქრის ფასი გირვანქაზე 2 მანეთამდე ავიდა.

— იანვრის ოციდან აქ იმართება სასოფლო-სამეურნეო კურსები. ლექტორებად იქნებიან: მ. კ. ნაკაშიძე, ლ. გოგნიაშვილი, საერობო აგრონომები სამადაშვილი, საყვარელიძე და ტოროშელიძე. მსმენელებად იქნებიან სოფლის მასწავლებლები, საკოოპერაციო დაწესებულებათა წევრნი და სხ.

გორი.

ამ თვის დასაწყისიდან აფრიკიანის ხარჯით რამდენიმე სკოლა გაიხსნა სომხებთათვის. რამდენიმე სკოლაც ამ თვის ბოლოს იქნება გახსნილი. სულ 7 სკოლაა.

ძირულა (შორაპ. მაზ.).

აქაურმა სოფლის მოღვაწემ ბ. ქათამაძემ განიზრახა სამეურნეო სკოლა დააარსოს

სოხუმი.

სოხუმის ეპარქიაში დაარსდა საეპარქიო [illegible] საბჭო. თავმჯდომარედ არის ყოვლად სამღვდელო სერგი, ეპისკოპოსი სოხუმისა, ხოლო წევრებად: დეკანოზი გ. გოლუბცოვი, სკოლათა საეპარქიო მეთვალყურე ალფეროვი და აფხაზი მისიონერები.

ბრუდე სარკე

სიტყვა

პირველიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო დაყუდებული ჰაიოსის არაქსის პირად და, ვითა ჰშვენის მსოფლიო სევდა-მწუხარების მოზარეს ცრემლებად იღველფებოდა: „ქართველ-სომეხთა გვარტომობით და კულტურით ნათესაობა ჩვენთვის სათაკილო კი არაა, **სასიხარულოა და სიხარული კიდევ უფრო მეტი იქნებოდა**, რომ არიელები არ შერეოდნენ სომხებს და მით არ დაგვშორებოდნენ“. ამას ჰგოდებს ის სიტყვა, რომელსაც არა ერთხელ ნაცარი წაუყრია თავზე და ღაწვების ხოკვით წყევლა-კრულვა შეუთვლია იმათთვის, ვისაც დღეს თეთრის კბილით მორცხვად უღრენს. ეს ღიმილი პროფესორ მარისაგან არის მამართული. მაგრამ, სანამ პროფესორი მარი ინგლისის მუზეუმში „ვეფხის ტყაოსნის“ სპარსულ დედანს არ იპოვნის, მის სიტყვას იმდენივე წონა ექნება, რამდენიც სიტყვას მატყუარა პატარა მეცხვარისას, რომელსაც მართალიც აღარ დაუჯერეს.

ახალი წინასწარმეტყველნი

პირი ვიბრუნოთ ჩვენის ახალ მნათობებისაკენ, რომელთაც წინასწარმეტყველობის საღერღელი, აჰშლიათ. ჩვენის სიტყვიერების კაზმული ქურუმები ახალ-ახალ სიტყვის ძიებაში არიან. შემოქმედების განცდისას, როდესაც ახალი ძლიერი აზრი თუ გრძნობა ეძებს თავის შესაფერ გამოხატულობას, მართლაც ძვირფასია ყოველი ახალი სიტყვა, რადგანაც იგი ენას ამდიდრებს, ახალ შემოქმედებისათვის ნიადაგს ამზადებს. მაგრამ ჩვენ სიტყვებს განგებ ვაკეთებთ, ვაჯღანებთ, სარჩულს საპირედ ვუდებთ, საპირეს სარჩულად. თურმე, უნდა ითქმოდეს „წინასწარიმეტყველა“ და არა „იწინასწარმეტყველა“, თუმცა ვინც წინასწარ იმეტყველა და მერე საქმეს შეუდგა, შეიძლება, სრულებითაც არ აპირებდეს წინასწარმეტყველებას. ასეთის წესით რომ ვიაროთ, მერე ვიტყვით „წინამეტყველი“ „უკანამეტყველი“, „ზამთარი“, „თოვლის თვე“, „წვიმის თვე“, „სეტყვის თვე“, „კატების თვე“ „ძაღლების თვე“ და...

კაცია და გუნებაო, ნათქვამია. მაგრამ ასეთ ახალ სიტყვის მექარხნეთა საგულისხმოთ ერთი ამბავი უნდა გიამბოთ.

ერთს კაშკაშა „ვარსკვლავოსან“ მთვარიან ღამეს, კეკლუცის რხევით, წელში მტვრევით, ფეხის ბაკუნით, მიდიოდა თავდახურული, ცალის ხელით კაბა-აკრეფილი მანდილოსანი.

და თოვლმა ჩამორეცხა. დანარჩენი დღეს ისპობა ჩვენ თვალწინ. და ეს ჩვეულებრივ აღარ იწვევს გულის ტკივილსა და მწუხარებას.

მაგრამ ეს სახიფათო გულგრილობა ბოლო დროს ახლად დაარსებულმა ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ შეარყია. ეს საზოგადოება უწინარეს ყოვლისა იმ ნაშთების გადმოღებას შეუდგა, რომელთაც მეტი საფრთხე მოელის ახლო მომავალში. საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ არსებული საეკლესიო მხატვრობის ასლთა სრული კოლექცია შესდგეს. თუ საზოგადოებამ ამ მიზანს მიაღწია, ის ორმაგს სამსახურს გაუწევს ქართულ ეროვნულ კულტურას. ჩვენს დაჩლუნგებულს ესთეტიურ გემოვნებას გააფაქიზებს, ჩვენს ისტორიულ კვლევა-ძიებას კი დაუფასებელ ნივთიერ საბუთებს შემატებს.

დიდათ გამამხნევებელია პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ გადადგა. ქართული ფრესკების გამოფენამ „დიდების ტაძარში“ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა იმთავითვე და რაც დრო გადის, მით უფრო ცხოველდება ხალხის ინტერესი. საფიქრებელია, რომ გამოფენის გახსნის დღე მნიშვნელოვან თარიღად დარჩება ჩვენი ესტეტიური კულტურის განახლების ისტორიაში.

დიდების ტაძარში გამოფენილია ერთი მცირედი ნაწილი ქართული ფრესკებისა. უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ დავიწყებულ ტაძრებში სთვლემს და ქართველი მხატვრის მოსიყვარულე ხელის შეხებას ელის. მაგრამ გამოფენა დაახლოვებითს წარმოდგენას მაინც იძლევა ჩვენი ძველი საეკლესიო მხატვრობის სიმდიდრეზე. თავისთავად ცხადია, რომ მუზეუმში გამოფენილ ასლს არ შეუძლია ორიგინალის მაგივრობა გასწიოს. ფრესკი შენობის შინაგანი სამკაულია. ის შეფარდებულია კედელსა, სვეტსა, თაღსა, გუმბათის ცას ან იალქანთან და მთელი არქიტექტურის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ ფრესკის გამოთიშვა და ცალკე გამოფენა რამოდენიმედ ცოცხალი სხეულის გაჩეხას უდრის. ამისდამიუხედავად „დიდების ტაძრის“ გამოფენა მაინც დიადს შთაბეჭდილებას ჰქმნის, იმდენად ძლიერი და სულჩადგმულია თვითეული მხატვრული ნიმუში.

გამოფენის მნახველის ყურადღებას უწინარეს ყოვლისა დიდი ისტორიული ფრესკი იპყრობს, რომელზედაც საცხის ათაბაგებია გამოხატული (№ 6 გამოფენისა). ეს მხატვრობა ნამდვილ შედევრს წარმოადგენს კომპოზიციისა და კოლორიტის მხრივ. საერთოდ ნელთბილი ტონები სჭარბობს: იისფერი, ყავისფერი, მოწითალო, მოყვითალო. ამას გარდა ეს ფრესკი იმით არის საყურადღებო, რომ შთამომავლობას მისი ოსტატის სახელიც შერჩა. ეს შესრულებულია 1381 წელს არსენი თფილელის მიერ, რომელსაც ეკლესიის ერთს ადგილას შემდეგი წარწერა გაუკეთებია: „შეწევნითა ღვთისათა და წმიდისა გიორგი ჭულაისითა სრულ იქმნა ესე ეკლესია ჭულისა ხატებითა მხატვრისა არსენი თფილელისა“. ეს მეტისმეტად იშვიათი ისტორიული დოკუმენტია. ცნობილია, რომ ძველი ოსტატები ამ ქვეყნიურ დიდებას ნაკლებ მისდევდნენ და თავიანთ ნაწარმოებს უმეტეს შემთხვევაში ხელმოუწერელად სტოვებდნენ. ქართველები კიდევ უფრო მორცხვნი იყვნენ, ვიდრე სხვა ერების წარმომადგენელნი: იმ აზრს ადგნენ, რომ „ბრძნად მეტყველება ვერცხლი არს წმინდა, ხოლო დუმილი ოქრო რჩეული“. ამიტომ დღეს უმეტეს შემთხვევაში აღარ ვიცით ვინ ააგო ჩვენი ტაძრები და ვინ მოხატა მათი კედლები.

საფარის ტაძრის ფრესკი (№ 7) უფრო ფსიხოლოგიური შინაარსითაა შესანიშნავი. ის იმავე სამცხის პატრონებს წარმოადგენს, ახალგაზდა შალვას გამოკლებით. მათ სახეებში მეტი ინდივიდუალური სხვადასხვაობაა შეტანილი და მათი ფიგურები ღირსებასა და კეთილშობილებას ჰხატავენ. მაყურებელი გრძნობს, რომ მის წინ ძლიერი ეპოქის შვილები სდგანან.

ეს არ შეიძლება ითქვას ნაყურალეშის ეკლესიის ფრესკების შესახებ (№№ 41, 42) სადაც გადადიანებული ჩიქოვანებია მოთავსებული სამთავრო წამოსასხამში; ვულგარული ადამიანებია გახვეული, თვით მხატვრული წერის ტეხნიკა ტლანქი და უსუსურია: ნათლად სჩანს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სულიერი კულტურა საკმაოდ დაბალს ნიადაგზე მდგარა. საერთოდ ნაყურალეშის ფრესკები საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს არქანჯელო ლამბერტისა და შარდენის ნაწერებისათვის, სადაც კოლხეთის იმ დროინდელი ცხოვრებაა აღწერილი.

ბეთანიის ტაძრის ფრესკებიდან თამარ მეფის ცნობილ პორტრეტს გარდა (№ 1) ორი საუცხოვო ნიმუშია გამოფენილი. ერთი განკითხვის დღის სურათს წარმოადგენს და დიდათ საყურადღებოა საშუალო საუკუნოებრივ ფანტაზიის დასახასიათებლად (№ 3). მითიური და რეალური ცხოველები პირიდან შეჩვენებული ადამიანები ასოებს ჰყრიან. მაგრამ სჩანს, რომ თვით ავტორი ნაკლებ აღელვებული უნდა ყოფილიყო ამ ხილვით: მისი კომპოზიცია საერთოდ ნაკლებ შემაძრწუნებელია, ვიდრე იმ დროინდელი იტალიელი და ფლამანდიელი ოსტატებისა. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ბეთანიის ტაძრის მეორე ფრესკი, სადაც წმ. ზოსიმე მარიამ ეგვიპტელს აზიარებს. დიდი ქრისტიანული მისტერია შეუდარებლად არის გადმოცემული; წმ. ზოსიმეს სახე მოყვასის სიბრალულს ჰხატავს, მარიამ ეგვიპტელისა კი უსაზღვრო სასოებას. და მათ გვერდზე იესოს უმოძრაო ფიგურა სდგას, რომლის სიახლოვეს მომქმედნი პირნი თითქოს გრძნობენ, თუმცა ვერ ჰხედავენ.

ყველაზე სრულად გამოფენაში ნაბახტევის ეკლესიის ფრესკებია წარმოდგენილი. ეს ფრესკები ნათლად მოწმობენ, თუ როგორ თავისუფლად ეპყრობოდნენ ჩვენი ოსტატები საერთო ქრისტიანულ სიუჟეტებს, რამდენი თავისებურობა შეჰქონდათ მათ ტრადიციული იდეების გამოხატვაში. ქრისტე ემმანუელი ნაღვლიანი, უწვერულვაშო, ჭაბუკის სახითაა გამოხატული (№ 16), წმ. გიორგი ტრადიციული შუბის მაგივრად ხმლით სჩხვლეტს გველეშაპს (№ 12); სერობის ტაბლაზე ხახვისა და ბოლოკის თავებია გაბნეული (№ 24). მეფე ალექსანდრესი, ქეთევან ამირეჯიბისა და მათი ოჯახის ფრესკები (№№ 10, 11, 12) უფრო ქართული ტანთსაცმელის ისტორიისთვის არის საყურადღებო. თვით ქეთევან ამირეჯიბის თავი ნატურალური სიცხოველით არის გადმოცემული, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს სწორი იყოს. უფრო საფიქრებელია, რომ პირვანდელი სახე წაშლილა და უთავოდ დარჩენილი სხეული რომელიმე მხატვარს შემდეგ საუკუნეებში შეუკეთებია.

ნაბახტევის ფრესკებს შორის ღვთისმშობლის ხატი უბადლო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს (№ 18). ეს ნაწარმოები ძლიერ დაზიანებულია: აღარ სჩანს არც თმა, არც შუბლი, არც თვალები. მაგრამ მხატვრული შთაგონება იმდენად ძლიერია, რომ მაყურებლის ფანტაზია ძალდაუტანებლად ამთავრებს, რაც ამ ღვთაებრივ თავს აკლია. ასკეტური იდეალი უარყოფილია. ქალწულის ნიკაპი და ბაგეები მისტიური გრძნეულებითაა გამთბარი, ღაწვებზე კი მიუწვდომელი მწვანე ფერი ჰკრთის, რაიცა ამ საუცხოვო ქმნილებას თანამედროვე ფრანგი იმპრესიონისტების ნაწარმოებებს უახლოვებს.

ანალოგიურ შთაბეჭდილებას იწვევს ქვათახევის ღვთისმშობლის ფოტოგრაფია, რომელიც ერთ-ერთს ვიტრინაშია გამოფენილი. ივერიის უზენაესი პატრონის სახე ქალური სინაზითა და სიკეკლუცითაა აღსავსე, მისი არსება ადამიანურად მომხიბლავი და მიმზიდველია: ეს უფრო ლეონარდოს ჯიოკონდას ტიპს წააგავს, ვიდრე სამონასტრო ხელოვნების უსისხლხორცო წმინდანს.

როგორც სჩანს ძველი ქართველი მხატვრის ბუნებაში ხშირად იღვიძებდა წარმართულ დროის მოგონებანი. ჩვენი ტაძრების კედლები ხშირად საერო და საჟანრო სურათებითაა დაფარული. ალაგ-ალაგ ახალგაზრდა ქალების პროცესიაა მოთავსებული, ალაგ ალაგ მდევებისა და ადამიანების შებმა; სამეგრელოს ერთს ეკლესიაში ტაფით აღჭურვილი მზარეულიც კი არის გამოხატული. „დიდების ტაძრის“ გამოფენაში ამ ხასიათის სურათს სვეტიცხოვლის კედლიდან გადმოღებული „სამაია“ წარმოადგენს (№ 31), სადაც გრაციული მოცეკვავე ქალების ჯგუფი დიდი ხელოვნებით არის განაწილებული.

მაგრამ მარტო ფრესკების ასლებით არ ამოიწურება ამ შესანიშნავი გამოფენის შინაარსი. ვიტრინებში ფრესკების ფოტოგრაფიები და წიგნების ილუსტრაციებია გამოფენილი. ამ უკანასკნელთ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მარტვილის და ვანის სახარების ილუსტრაციები იპყრობს (№ № 72 და 85) პირველი კეთილშობილი კლასიკური სტილითაა დასურათებული, მეორე კი ფანტაზიის არაჩვეულებრივ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ააშკარავებს: ჩუქურთმიან კამარებს სიმბოლიური ცხოველები ახვევია. აქ დათვები ადამიანებს ესაუბრებიან, მონადირეები ლომებს აღრჩობენ; მონები აქლემებს მისდევენ, ჯამბაზები ხეებზე მიცოცავენ; კამარის სვეტებს კი თავისებური კარიატიდები იჭერენ. გულუბრყვილობა და სიბრძნე ერთად არის შეერთებული, ეს ორი აუცილებელი ნიჭი ყოველი დიდი, მირონცხებული ოსტატისა.

გერონტი ქიქოძე.

მეორე ხელში ეჭირა გაშლილი წითელი ქოლგა. უკან მოსდევდა ფესტამლიანი პატარა ბიჭი.

მითომდა, შემომხედეთ, რა კოპწია მზეთუნახავი ვარ, მთვარის შუქსაც კი ვიკრძალვი, მომიწონეთ, მიმირთვითო!

ძლიერია მაცდურება ყურადღების მიზიდვისა!

შლილობის ფილოსოფია.

ჩვენში ახალი ფილოსოფოსია და მრევლიც დიდი ჰყავს. ამ ფილოსოფოსის აზრით, ქართველ ქალს, თურმე, ქალობა არა აქვს, ვაჟს—ვაჟობა. მართლა, ვარაუდში რომ მიიღოს ადამიანმა ასეთ ვაჟკაცურ ჟინით გამოწვეული და უკაცურობით დასრულებული ტორღიალი, ჰუზურში, საგონებელს მიეცემოდა: ალბად ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი, თუ კი ადამიანური სექსუალობაც აღარ მოსდგამსო.

ამ ფილოსოფიის მოძღვრებით, ქალი სურნელოვან-ფერადოვანი სუმბულია, რომელიც კუკურის შეკვრისთანავე უნდა გადიშალოს. ასეთ სუმბულთა ბაღნარში მხოლოდ ასეთ ფილოსოფოსმგოსანთ შეესვლებათ. ჩვენ ქალებს-კი, თურმე, ეს მცნება ვერ შეუგნიათ. მართალია, ნამდვილის ცნობებით ქუთაისის შეკოკრებულთა უმეტესობა არა თუ გადაფურჩქვნილი, არამედ ავის სენისაგან ძალიანაც ყოფილა მომწიფებული (თბილისისაზე აღარას მოგახსენებთ), მაგრამ ამ ახალ განთიადის მოციქულებისათვის ეს როდი კმარა.

მოწყვეტილი კვირტებზე.

მე კი ღმერთმა დამიფაროს ქალების შეხებისაგან, მაგრამ თვითონ ქალები კი ძალიან თამამად და უდიერად ეხებიან ხოლმე იმ განასკულ კვირტებს, რომელთაგანაც, ბუნების წესით, ხორცი ხორცთა მათთაგანი და სული სულთა მათთაგანი უნდა ევლინებოდეს ქვეყანას. ასეთ ღვიძლ კვირტებს ისინი მეტის-მეტად ადრე ჰფურჩნიან და აჭკნობენ კიდეც.

ქალთა დღე.

დღეს დიდი დღეობაა, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოსი. შეეწიოს მისი მადლი ჩვენს ქალებს, განსაკუთრებით მათ, ვისი ცხოვრების კუკურიც ჯერ არ გაშლილა. უმჯობესია სულაც არ გადიშალოს ყვავილი, თუ კი იგი ნაადრევად, ნაძალადევად ნათრევმოსრესილი ქუჩაში იქმნება გადაგდებული. ქართველმა ქალმა წმ. ნინოს სადარი პასუხი უნდა გასცეს იმ ავყია ფილოსოფოს-მენამცეცეებს, რომელნიც ნასუფრალის ძებნაში ქვეყნის კარ-მიდამოს უვლიან და ყველგან შეაქვთ სულიერ-ხორციელი ხრწნილება...

—

დღეს ბოდბის მონასტრის ზარები ამცნევს ზეცასა და ქვეყანას მის წიაღში განსვენებულ წმ. ნინოს დღეობას. მისი სამარე კი ვერ მოისმენს იმ ტკბილ ენას და ღვთიურ მოლილინე საგალობლებს, რომლითაც წმ. ნინო ავედრებდა უფალს ღვთის მშობლის წილხდომილ საქართველოს.

სამაგიეროდ მონასტრის ზღუდეს მოედება უცხო ჰანგები, უცხო სულთა, უცხოთა შორის და წმ. ნინოს ნეშტზე აგებულ მონასტრის წინამძღვარი იმავ სასოებით და მოწიწებით შეავედრებს ქართველ ერს მოწყალე უფალს, რა ენითაც მისმა სათნოებამ მოუსაჯა საბრალო მოწაფეს სენაკში მარტოობა, სადაც განწირული მოწაფე ქალი მკბენართა (თქვენთან პატივი მომითხოვნია) მსხვერპლი შეიქნა. მისი თავის ქალა თმით და მკბენარებით სპირტში ჩადებული წარდგენილია უმაღლეს დაწესებულებაში და სამართლიან მსჯავრს ელის...

ამ ამბის მომსწრეთ მხოლოდ ლა გვეთქმის: ბედაურები დაიხოცნენო..

ჩვენებური სოვდაგრობა.

თუ ბოდბის მონასტერში ბედაურები დაიხოცნენ, სხვაგან ბარაქიანობა ეტყობათ. ვეღირსეთ იმ დროს, როცა ადამიანის შრომას ფასი ედება, ჩვენშიაც ფეხს იკიდებს მუშათა არისტოკრატია. ამის ნიმუშები „კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ" მოგვცა. აქ მეკარეს თვეში ათი თუმანი აქვს, რემინგტონზე მომუშავე ქალს—ათი თუმანი, მეკურტნეს ათი თუმანი, ბუხგალტერს 3600. აქ სასიამოვნო ჯერ ის არის, რომ შრომა ჯეროვანად ფასდება, მეორეც—ქალისა და კაცის ხელფასი გათანაბრებულია, მესამეც—მუშათა არისტოკრატია ფეხს იდგამს.

საქართველოს ისტორია ასეთ ხელფასის მომსწრე, ვგონებ, არა ყოფილა.

ბარაქალა „კახეთის" ამხანაგობას, რომ ასე აფასებს (თუ ძალად აფასებინებენ)) შრომას!

ამავე დროს საგულისხმოა, თუ რამდენს ღებულობს სოფლის მუშა, მევენახე და ვენახის პატრონი. საშუალო ოჯახი, სტატისტიკის კანონით, 5 სული რომ ვიანგარიშოთ და თითოს მეკარის ხელფასი მივსცეთ, წელიწადში ექვსასი თუმანი ერგებათ. „კახეთი"-ს ამხანაგობას 200 წევრი ჰყოლია. ყველას ერგებათ 1 მილიონი და 200 ათასი მანათი. ამ ფულში მათ უნდა მისცენ ღვინო ამხანაგობას, საშუალოდ, საპალნე, ვთქვათ, 40 თუმნად. მაშ, „კახეთი"-ს ამხანაგობას 3 ათასი საპალნე ღვინო უნდა ჩააბარონ ერთს წელიწადში. ეს იქნება 150 ათასი ვედრო ანუ 2,460,000 ბოთლი. ვთქვათ, ზოგი გზაში თუ სარდაფში დაიღვარა, ზოგი პირში ჩაიღვარა, ზოგი გაშრა, ზოგი გააშრეს, საერთო ვარაუდით ბოთლი ექვს აბაზობაზე რომ ვიანგარიშოთ „კახეთი"-ს ამხანაგობას დახლში 2 მილიონ ნახევრამდე მანეთი შევა. მოგება დარჩება 1,200,000 მანეთი.

ასეთ შემოსავლიან დაწესებულებაში, ჩემის აზრით, ხელფასის მომატება კიდევაც შეიძლებოდა. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს: ალბად, ამხანაგობა ავსტრიის მეფესებ შვეიცარიის ბანკში თუ ინახავს ფულს შავის დღისათვის, თორემ ადგილობრივ ბანკის ვალი რამდენიმე ასი თუმანი რატომ ჯერაც ვერ გადაუხდია?

ამისი გამოანგარიშება „კახეთი"-ს ბუღალტრისთვის მიმინდვია.

ფრინველნი ცისანი.

დიდი ბუღალტერობა არ არის საჭირო იმის გამოსაანგარიშებლად, თუ რითი იკვებებიან ფრინველნი ცისანი ანუ ძველმანებში გახვეული, გახუნებული, გადასანსალებული სოფლის მასწავლებლები, რომელნიც მოზარდ თაობას მთელი თავისი ავლადიდებით და კეთილშობილურ თავგამოდებით მალამოდ ედებიან მეკარისა და მეკურტნის გახსენებაზე. მაგონდებიან ეს განწირულნი ზვარაკნი ქვეყნის ცოდვათა განტევებისანი და ჩემს თავს ვეკითხები: რა ცოდო მიუძღვით ხალხისა და უფლის წინაშე, რომ შიმშილით ნასაზრდოვებ თავითა და კუჭით მოზარდი თაობა ნოყიერად უნდა ასაზრდოვონ ჭკუა-გონებით, ზნეობით, სიფაქიზით. რომელ სალაროდან უნდა გამოჰქნოდესთ ეს განძეულობა?

ხელმოკლეობით ვერ მისწვდებიან რიგიან წიგნს, რიგიან გაზეთს, რიგიან საზრდოს, რიგიან ჩაცმა-დახურვას...

მაგონდება დიდებული ილიას „უცნაური ამბავი" და თითქოს ვგრძნობ ამ დაუმთავრებელ საუცხოვო მოთხრობის ბოლოს.. ქველმოქმედება ჰკლავს ცოცხალ საქმეს. ასამარებს ცოცხალ ადამიანის ბუნებას...

სოფლის მოზარენი.

ჩვენს სოფლებში ნამდვილი ქველმოქმედებაა გამეფებული. ქიზიყელი ათშაურა მამასახლისები უკანასკნელ გროშს სცინცლავენ ქვრივ-ობლებს, აპარტახებენ ოჯახებს... ათასგვარ ბაცაცები სულთამდე ხელს აწვდიან გაძვალტყავებულ ხალხს, წვრილფეხა მოხელეები (დუშეთ-თიანეთისა) რეკვიზიციის სახელით აგროვებენ შეშაერბო-კარაქს..

მაგრამ ამ ბოლო დროს სოფელსაც გამოუჩნდნენ გულშემატკივარი და მისის ვარამის მოზარენი.

ეს ქველმოქმედი ხალხი განათლების მოსაფენად სკოლებს აარსებენ კავთისხევში, ძეგვში, კასპეთში, ჩალაუბანში და სხვაგან. ქართველ გრიგორიანებთან ერთად მართლმადიდებელ ქართველის ბავშვებსაც ფართედ უღებენ სკოლის კარს და სომხურად ასწავლიან ყველა საგნებს: ჩვენს სოფლებს ასომხებენ. ჩვენნი დაწესებულებანი, მართალია, დიდ სიფხიზლეს და საქმიანობას იჩენენ, მაგრამ, „უსახსრობისა" გამო ვერ გასწვდენიან საქმეს. მათგან ისიც კმარა, რომ წელიწადში ხუთიოდე თუმნის რვეულ-ფანქარ-წიგნს მიაწვდიან თავისს სკოლებს, ინსპექტორს დაათვალიერებინებენ სკოლა-ბიბლიოთეკებს, მოხსენებას წარადგენინებენ, რომ ისტორიას არ გამოეპაროს მათი ნაყოფიერი მოღვაწეობა.. ინსპექტორი კი, დამსახურების შემდეგ, ბანკის დირექტორად გარბის დასასვენებლად..

ჩვენი მეზობლები კი იქა სთესენ, სადაც არ უხნავთ, სადაც ყამირიც და ნიადაგიც სხვისია.

კავთისხევის სკოლაში მათ უკვე 200 მოწაფე ჰყავთ, გრიგორიანი და მართმადიდებელი ქართველი. სწავლა ჩინებულად მიდის სომხურის მეთოდით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პირმტკიცი და მოდგმით სომეხთა მონათესავე სიტყვას ცათა ფრენა შეუდგება ამ ამბით, სამწუხაროდ მხოლოდ ის დარჩება, რომ დღევანდლამდე რად დააგვიანეს და ადრევე არ შეუდგნენ ამ საქმეს. ეს ამბავი მით უფრო სასიხარულოდ უნდა დარჩეს, რომ ჩვენი ბავშვები სიყრმიდანვე შეისწავლიან სომხურს, რომელიც, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა (ახლო მომავალში მაინც, როგორც შორეულ წარსულში ყოფილა) ყოველ ქართველისათვის სავალდებულოა.

იმედია, თვითონ ბ-ნი სიტყვაც ამ საოცნებო სკოლაში მიებარება და თავის წინაპართა ენას დაეწაფება!

იყავნ! იყავნ!

შოლტი.

ჩვენს მამულ-დედულს სხვა ეპატრონება

ორი ათას წელიწადზედ მეტია, რაც ქართველი ერი იბრძოდა თავის მამულისათვის, ორი ათასი წელიწადია სისხლით რწყავდა საქართველოს არემარეს.

განვლო ორი ათასმა წელმა და ჩვენმა წინაპარმა ქართველ ერის ძვლებით მოფენილი მტკვრის კიდეები და სისხლით გაპოხიერებული მამულები ქართლ-კახეთისა და იმერეთისა მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ გადმოგვცა.

მეცხრამეტე საუკუნემ დიდი განსაცდელი განუმზადა საქართველოს მამულ-დედულს. ქართველი ერი, სისხლით დაცლილი, არაქათ გამოლეული მიყუჩდა. მეცხრამეტე საუკუნეში მამულის დაცვას მკლავი ძლიერი და ხმალი მჭრელი აღარ სჭირდებოდა, მას სხვა მოვლა და პატრონობა ეჭირვებოდა. ქართველი ერი ეკონომიურად მოუმზადებელი დახვდა და ნელნელა მამული ხელიდან ეცლებოდა.

ორი ათასის წლის ჟამმა ქართველ ერს ვერა დააკლორა, მამული ვერ დაუკუწა; მეცხრამეტე საუკუნემ კი საქართველო აუჭრელა და სხვა ერები ჩაუსახლა!

საქართველოს თერიტორიასთან და თან ელებოდა ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრების მამულები, ბორჩალოს მაზრაში ესახლებოდნენ შორით მოსული სომხები. მესამოცე წლებში მუშიდან გადმოსახლდნენ სომხები, ბოლნისის არე მარეში. შესანიშნავი ბოლნისის წმინდა გიორგის ეკლესიაც კი მიითვისეს, მოსპეს ყოველივე ქართული ნიშნები და სომხურის წარწერებით წარჰყვნეს ისტორიული ბოლნისის წმინდა გიორგის ტაძარი.

დღესაც საქართველოს ყველა კუთხიდან სალოცავად მიდის ქართველი ერი ამ ტაძარში და მთელ შემოსავალს სომხის სამღვდელოება იღებს.

და რამდენ სხვა ეკლესიებს დაეპატრონენ, ვინ მოსთვლის!?

და არც გასაკვირველია, ნათქვამია: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიანო".

მეოცე საუკუნის მოძრაობის აქეთ ქართველი ერი გონს მოდის და მწვავედ იგრძნო, რა განსაცდელი ადგია კარს მის მამულ-დედულს. თანდათან შეგნება შედის ხალხში და თავდაცვის სურვილი იღვიძებს მასში.

მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოებიან ისეთი გადაგვარებულნი მემამულენი, რომელნიც ანგარიშს არ უწევენ ერის განსაცდელს.

ბორჩალოს მაზრაში სოფ. ფახრალოში თ-დ ალექ. ნიკ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ეკუთვნოდა 2,000 დესეტინა საუკეთესო მამული ტყე და ველი, დღეს ეს მამული რუსებმა იყიდეს, რომ არამიანცს, რომლის მამული ამ მამულს აკრავს, მოგებით მიჰყიდონ.

გორის მაზრაში ჩუმა თელეთის მამული 1837 დეს., რომელიც თ-დ სვ. ნიკ. ლორთქიფანიძესაგან დაგირავებული, სახ. საად. მამ. ბანკს დარჩა, ბანკისგან შეიძინა ვიღაც გურკომ. ჩუმა თელეთის მამულის მმართველი ადასტურებს, რომ მანთაშევის აგენტი იყო ამ მამულის დასათვალიერებლად და მანთაშევისთვის უნდა იყიდოსო. ეს მამული მდებარეობს სურამის მახლობლად და ბევრი სოფელი სარგებლობს ამ მამულით.

„საქართველოს" 8 გიორგობისთვის ქრონიკაში მოთავსებული იყო: „სუმბათოვის მემამულე თ-დ გ. ვ. სუმბათაშვილი თავის მამულს ტყესა და ველს, ზომით 1500 დესეტინას, ბორჯომის რკინის გზის გაყოლებით მდებარეს, რუსებზედ ჰყიდის, აძლევენ 900,000 მანეთსო". მისი მახლობელნი ამბობენ: ვითომ რუსები მარტო ტყეს ევაჭრებოდნენ მოსაჭრელათაო, თუ მართლა ასეა, კიდევ მადლობა ღმერთსო, მამული ხომ ისევ ქართველ ერს დარჩება, მაგრამ თუ ასე არ არის და მამულიანათ ჰყიდის, მაშინ მემამულე ქართველი ერის წინაშე დიდ ცოდოს ჩაიდენს.

ეს მამული სადგ. სუმბათოვის აკრავს, საუკეთესო საგარაკო ადგილებია, ნაძვნარი ასწლოვანი ტყითაა შემოსილი, და ცუდი იქნება, რომ უცხოელების ხელში ჩავარდეს. მის გვერდზე მდებარეობს დიმიტრი ყიფიანისეული მამული „სანინო", რომელიც უკვე საგარაკო ადგილებად დაიჭრა და უცხოელებზედ გადავიდა.

ამავე ნომერში ხრონიკაში იყო მოთავსებული: „კაპიტალისტ მანთაშევის აგენტი ინჟენერი ჯანოევი კავთისხევსა და ახალ-ქალაქის მიდამოებში ცდილობს შეიძინოს ნავთიანი და სხვა მადნეულობიანი ადგილები. აგენტსა და მეპატრონე გლეხებს შორის შუამავლობას ეწევა მამასახლისის მწერალი კორინთელი".

დიახ, ამისთანა შუამავალნი ქართველებს ბევრი ჰყავთ, ამყოლს ჩამყოლიც უნდა! გადაგვარებულმა მემამულეებმაც თავიანთი შესაფერი შუამავალნი უნდა მონახონ და არიან კიდეც. სხვათა შორის, გრ. ფ—ვა და ვ. ა—ძეც ეწევიან შუამავლობას ქართველ მემამულეებსა და უცხო კაპიტალისტებ შორის, რათა ერთი მეორესაგან მამულები გადაიდეს.

როგორც ქართველი მემამულენი, ისე ეს შუამავალნიც ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ტერიტორია იკუწება და ყოველ ათითო ათასი დესეტინა მამულის სხვის ხელში გადასვლა საქართველოს მთლიანობის დარღვევას აწევს.

ჩვენ მამულ-დედულს სხვა ეპატრონება, ჩვენს მამულში, სადაც ქართველი ერი ასე შევიწროებულია უმიწოთ, სხვა ესახლება. დიდ განსაცდელის წინაშე ვდგევართ.

Legatus

თეატრი და ხელოვნება

„ახალ კლუბის" დარბაზში" 12 იანვარს დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „სიმახინჯე" ნ. შიუკაშვილისა. ამ დრამას ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს და მრავალჯერაც წარმოუდგენიათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო და დიდის ინტერესით ისმენდნენ. ამის მიზეზი გახლდათ ჩვენის ნიჭიერ მსახიობთა ქ-ნნ ქიქოძის, ჯავახიშვილის, ბ. ბ. ზარდალიშვილის, გვარაძის და იმხნელის დაკვირვებული თამაში.

იშვიათის სიძლიერით შესრულა სონას როლი ქ-ნმა ქიქოძისამ. ნიჭიერს მსახიობ ქალს ზედმიწევნით შეუთვისებია ავტორის მიერ დახასიათებული უნებისყოფო ინტელიგენტ ქალის და გარემოების მსხვერპლის სულის კვეთება და პირველ მოქმედებიდანვე თანდათანობის სიძლიერით განავითარა.

მახინჯთა როლებს, საბას და დარეჯანისას, ასრულებდნენ ქ-ნი ჯავახიშვილისა და ი. ზარდალიშვილი. ორი ბოროტი სული თავიანთის შეწყობილის თამაშით დიდს ყურადღებას იპყრობდნენ და საზოგადოებას სცენას ავიწყებინებდნენ.

კარგები იყვნენ სხვა მოთამაშენიც. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო და მოთამაშენი მრავალჯერ ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ზანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„		№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11 13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალზე
ოცდა-მერვე წელიწადი „ჯეჯილი" ოცდა-მერვე წელიწადი
ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ.

გამოვა 1917 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილთათვის. ჟურნალი „ჯეჯილი" თბილისში ღირება 4 მ., ქალაქ გარედ (გაგზავნით) 5 მ., ნახევარი წლ. 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ. რედაქციაში ისყიდება ყველა 27 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები. ფასი რედაქციას არ მოუმატებია. ხელის მოწერა მიიღება თბილისში—„რედაქციაში (არტილერიის ქ. ,№ 5).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Ред. Груз. дѣтскаго журнала „Джеджили"
რედაქტორ-გამომცემელი ანასტ. თუმანიშვილი-წერეთლისა.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა
კურსები
ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—16)

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".
(თ.—228—თ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქუთაისში
მ. ლაღიძე & ძმ.
საუკეთესო ხილეული წყალი
1900
თბილისში

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი"
მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4